

ხელფასები, პენსიები, დასაქმება, მკურნალობა

რას და რამდენს გვპირდებიან პარტიები

გაზეთი “ალია” – 17-19 მაისი, № 59, 2008

წინასაარჩევნო დღეებში ყველა პარტია, ხელისუფლების ჩათვლით, ძალიან გულუხვი ხდება. კარგი ხელფასი გნებავთ? ინებეთ. უფასო მკურნალობა? არ არი პრობლემა. უბრალოდ, სამწუხაროა, ამდენი კეთილი სურვილი თუ დაპირება არჩევნების შემდეგ აღარავის ახსოვს. ვნახოთ, შეიძლება 21 მაისი მაინც აღმოჩნდეს გამონაკლისი, ყოველ შემთხვევაში, ეს ცხრილი იმისთვის მოგიმზადეთ, რომ პოლიტიკურ ლაბირინთებში უკეთ გაერკვეთ. ამ საკითხებთან დაკავშირებით „ალიამ“ კომენტარის გაკეთება პროფესორ ლადო პაპავას სთხოვა.

– ბუნებრივია, პირველ რიგში ყურადღებას იქცევს ხელისუფლების პროგრამა, რადგან ეს იმ ადამიანების შედგენილია, რომლებმაც უფრო მეტი ინფორმაცია და რესურსი გააჩნიათ. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ როგორც „ნაციონალური მოძრაობის“, ისე ნებისმიერი პარტიის დაპირება მხოლოდ და მხოლოდ დაპირებაა, არც ერთი მათგანი პროგრამის ხასიათს არ ატარებს, ანუ გაწერილი არ გახლავთ, თუ ეს ყველაფერი რის ხარჯზე უნდა გაკეთდეს. მაგალითად, „ნაციონალებმა“ იაფი სესხების სქემა უკვე აამოქმედეს, არაერთხელ გაპიარდა 100 ახალი საწარმოს შექმნის ამბავიც, თუმცა სავსებით მიუღებელია მათ მიერ მოგონილი 100-დოლარიანი პენსია. ჯერ ერთი, ხელისუფლება ვაღდებულება, იცოდეს, რომ როდესაც ჩვენი ქვეყნის ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება ღარია, პენსიის რაოდენობაც ამის მიხედვით უნდა იანგარიშოს. დოლარში დათქმული დაპირება მხოლოდ ეშმაკობაა – ყველამ კარგად იცით, დოლარი ყოველდღიურად როგორ უფასურდება და 2009 წლის ბოლოს რა მდგომარეობაში იქნება, თითქმის ნათელია. ცოტა რბილად რომ ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილის გუნდი პასუხისმგებლობას გაურბის.

– ბატონო ლადო, ალბათ, 2009 წლის ბოლოს 100 დოლარი იგივე 70 ლარი იქნება, არა?

– არ არის გამორიცხული, ის შეიძლება მეტიც კი, მაგალითად, 100 ლარი იყოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს დოლარის ხსენება ღამაზად უდერს, ხალხს თითქოს მეტ თანხად ეჩვენება. ამ შემთხვევაში „ნაციონალები“ კანონსაც არღვევენ, დაპირებებს უცხო ქვეყნის ვალუტით იძლევიან.

– 200 ათასი სამუშაო ადგილის შექმნა რეალურია?

– ამაში მოულოდნელი არაფერია, მთავარი ის არის, ამდენი სამუშაო ადგილი რა პერიოდში შეიქმნება.

– 25 თვეზე აქვთ გაანგარიშებული.

– ყოველ შემთხვევაში, ეს ქვეყნის სტაბილიზაციაზეა დამოკიდებული და იმაზეც, თუ რამდენად გონივრულად მოიქცევა ხელისუფლება. როდესაც ამ მონაცემებს ვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა პარტიას ხელისუფლებაში უნდა მოსვლა და ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ამომრჩეველი მოხიბლონ. თუმცა, ვინაიდან მათ სრული ინფორმაცია არ გააჩნიათ, ხშირად დაპირებები ზედმეტად მაქსიმალისტურია. რაც შეეხება „ლეიბორისტების“ განცხადებას იმის თაობაზე, რომ ხელფასები და პენსიები საარსებო მინიმუმს ზემოთ უნდა იყოს, ეს სიმართლეა, ასეც უნდა იყოს და კორექტულობასთან ახლოს არის, მაგრამ მათ აქვთ იდეა უფასო განათლების შესახებ, რაც საბოლოო ჯამში კარგი სურვილია. შეიძლება განათლების რაღაც ნაწილი უფასო მართლაც იყოს, მაგრამ ჩვენ სოციალიზმს მაინც ვერ ავაშენებთ. შემდეგ, უფასო სამედიცინო დახმარება... ესეც კარგია, მაგრამ ფასიანი კლინიკების გახსნას წინ ვერავინ აღუდგება. კი, ბატონო, ახლად დაქორწინებულებსაც მივცეთ 2000 ათასი ლარი... თუმცა, თუ არ მივუთითეთ, მერამდენე ქორწინებაზე ვაძლევთ, შეიძლება ზოგმა ეს საქმე ბიზნესად გაიხადოს. რაც შეეხება უფასო წყალს, ასეთი რამ ჩემთვის მიუღებელია – დიახაც, ჩვენთვის წყალი შედარებით იაფი უნდა იყოს, მაგრამ მუქთად გაცემა უყაირათო ხარჯვას გამოიწვევს.

– არ ვიცი, თქვენ რას იტყვით, მაგრამ ჩემი აზრით, „რესპუბლიკელების“, ასე ვთქვათ, სოციალური პროგრამა ცოტა მოიკოჭლებს.

– პენსიებთან მიმართებაში „ლეიბორისტებისას“ ძალიან ჰგავს და ასევე სწორი მიდგომაა, მაგრამ ის, რომ პედაგოგის ხელფასი სახელმწიფო მოხელის ხელფასს უნდა გაუტოლდეს, ცოტა საეჭვოდ მეჩვენება, ამას გარკვეული დრო

დასჭირდება. სხვათა შორის, ოპოზიციური პარტიების დაპირებებს გარკვეული დროით შემოსაზღვრა აკლია, ესენი არ გვეუბნებიან, ამ ყველაფერს რამდენ ხანში გააკეთებენ.

– ჩვენ ვიცით, სახელმწიფო მოხელის ხელფასი რამდენია? ვერ გაგიგო მოხელეში ვის გულისხმობენ, მინისტრს?

– წესით ეს ცნობილი უნდა იყოს, თავის დროზე ზურაბ ჟვანია ამაცობდა, სახელმწიფო მოხელის ხელფასი 115 ლარზე მეტიაო, მაგრამ ახლა ამ მხრივ ზუსტი ციფრი არ არსებობს, თანაფარდობა კარგა ხანია დაირღვა. რაც შეეხება ეროვნული სტაბილიზაციის ფონდის შექმნას, ამაზე პარლამენტში მთელი ერთი წელიწადი ვლაპარაკობდი, თუ „რესპუბლიკელები“ ამის გაკეთებას მოახერხებენ, მხოლოდ მივესალმები.

– ეს იგივე ხომ არ არის, რაც ლადო გურგენიძემ გააკეთა? თუმცა, მან ამის გულისთვის დიდძალი სესხი აიღო.

– არა, გურგენიძემ სტაბილური განვითარების ფონდში საგარეო სესხი შეიტანა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ევროობლიგაციების გამოშვებით აიღო. „რესპუბლიკელები“ გვთავაზობენ, რომ ფონდში თანხები პრივატიზაციიდან შევიდეს. ასევე სრულიად ნორმალურია საშემოსავლო გადასახადის შემცირებაც 10 პროცენტამდე, როგორც ვიცი, მათ ეს სამ წელიწადზე აქვთ გათვლილი. თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ არც ხელისუფლებას და არც „რესპუბლიკელებს“ ამ საკითხისადმი ახალი მიდგომა არ გააჩნიათ – საშემოსავლო გადასახადის შემცირება მყისიერად შეიძლება, საკითხის მოგვარებას არავითარი დრო არ სჭირდება. დღესვე შეიძლება ძველი, 12-პროცენტისანი საშემოსავლოს აღდგენა, ოღონდ 12 პროცენტის სოციალურ გადასახადთან ერთად – ბუიუჯეტში 50 პროცენტს დამჭირავებელი უნდა იხდიდეს, ხოლო 50-ს დაქირავებული. ეს უფრო სამართლიანი იქნება, ვიდრე ის, რაც დაქირავებულებს ხელისუფლებამ აჰკიდა – 25 პროცენტი. ამ შემთხვევაში ჩემი კრიტიკა არა მხოლოდ „ნაციონალების“ მიმართ არის მიმართული, არამედ ყველა პარტიის მიმართ.

– სხვათა შორის, „ქრისტიან-დემოკრატებს“ ძალიან მომხიბლავი პროგრამა აქვთ, მაგრამ ცოტაოდენ წაიზღაპრებს.

– თუკი მინიმალური პენსია 200 ლარი იქნება, მივესალმები, მაგრამ რატომ ამდენი და არა – 180 ან 300 ლარი? ამას საფუძვლად რა უდევს? მე მგონი, ეს უფრო მოწოდების დონეზე ნათქვამი ფრაზაა. სკოლების ოპტიმიზაციის შეჩერება მშვენიერი იდეაა, უკვე მიხეილ სააკაშვილიც

აღიარებს, რომ ამ სფეროში ბევრი სისულელე გაკეთდა. როგორც ჩანს, განათლების სისტემა ვიღაც უცხოპლანეტელმა დაანგრია. რაც შეეხება „ქრისტიან-დემოკრატების“ წყლის ბიზნესს, ამაზე კომენტარის გაკეთება ნამდვილად გამიჭირდება, პროექტს, თუკი ასეთი არსებობს, საერთოდ არ ვიცნობ. ვერც 12 მილიარდზე ვისაუბრებ, მაგრამ ამ რესურსის სწორად გამოყენება აუცილებელია. ინვალიდებსაც მივცეთ დახმარებები, ხელფასებიც გაეზარდოს 800 დოლარამდე, მაგრამ თუ ამას ანალიზის, შესწავლისა და გაანგარიშების გარეშე გავაკეთებთ, შედეგად მხოლოდ ინფლაციას მივიღებთ. საკმარისად უცნაური იდეა აქვთ „ტრადიციონალისტებსაც“, როდესაც 4-5 საათიან სამუშაო დღეზე ლაპარაკობენ. ეს გახლავთ ძალიან კეთილი სურვილი, მაგრამ ვფიქრობ, ასრულება არ უწერია. ჩვენი ეკონომიკის პირობებში საამისო რესურსი ნამდვილად არ არსებობს. თუ „ქრისტიან-დემოკრატები“ 200 ლარიან ხელფასებს გეთავაზობენ, „გაერთიანებული ოპოზიცია“ 400-მდე ადის. ესეც კარგია, 600 ლარი მთლად უკეთესი, მაგრამ ამ შემთხვევაში არავინ იცის, ასეთი ხელფასების გაცემის რესურსი იარსებებს თუ არა. იმასაც ამბობენ, დენისა და გაზის ტარიფი განახევრდებოდეს. მე არ ვიცი, თუ ესენი განახევრებას ბიუჯეტის ხარჯზე აპირებენ, მაშინ ძალიან მახინჯ ფორმას მივიღებთ. თუმცა, ვაღიარებ, ეს ლამაზი მოწოდებაა. აქ მეორე პრობლემაც არსებობს – კანონის მიხედვით, დენისა და გაზის საფასურს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია დამოუკიდებლად ადგენს. გამოდის, „გაერთიანებული ოპოზიცია“ იმასაც გვპირდება, რომ კომისიაზე პოლიტიკურ ზეწოლას მოახდენს.

– ბატონო ლადო, „ქრისტიან-დემოკრატიული ალიანსის“ ლიდერები წვრილ და საშუალო ბიზნესს გადასახადებისგან საერთოდ ათავისუფლებენ, ხოლო მსხვილ ბიზნესს – მოგების გადასახადს უუქმებენ. აი, ეს კი მართლა მაგარი იდეაა.

– ჯერ უნდა გავერკვეთ, რა არის წვრილი და საშუალო ბიზნესი... საკმარისია, ჩვენ ეს მექანიზმი შემოვიღოთ, უამრავი მსხვილი ბიზნესი დაიშლება, დანაწევრდება, ერთმანეთში ფსევდოკონტრაქტებს გააფორმებენ და შესაძლოა, ქვეყანაში გადასახადები საერთოდ აღარ აიკრიფოს. კიდევ ერთხელ ვამბობ ხაზგასმით: ყველა პარტიის ე.წ. პროგრამას აშკარად აკლია ეკონომისტის კვალიფიციური ხელი, ეს უფრო ლამაზი ლოზუნგებია, ვიდრე საქმიანი წინადადებები. მე ძალიან ვეჭვობ, ამ მოწოდებების გამო ამომრჩეველმა ვინმეს ხმა მისცეს, მაგრამ რაკი ჩვენში საპროგრამო კულტურა

არ არსებობს, პროგრამების შექმნა არჩევნებისადმი “ხარკის გადახდის” დონეზე რჩება.

– როდესაც წერენ, რომ ხელფასი იქნება საარსებო მინიმუმს ზემოთ, ესეც გაუგებარია... თქვენ საარსებო მინიმუმის შესახებ ზუსტი ინფორმაცია გაქვთ?

– საქმე ის არის, რომ ვარდების რევოლუციის შემდეგ საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდიკა შეიცვალა: საარსებო კალათის კალორიულობა შეამცირეს, პროდუქტების ფასები საცალოს ნაცვლად საბითუმო აიღეს და თუკი ადრე 115 ლარი იყო, 85 ლარამდე დავიდა. სანამ სტატისტიკის დეპარტამენტი მთავრობის დაქვემდებარებაში იქნება, ჩვენ ვერც საარსებო მინიმუმის ზუსტ ციფრს დავადგენთ და ვერც ინფლაციის რეალურ დონეს, ესენი ხომ ყველაფერს თავიანთებურად “ჭრიან და კერავენ”. აი, ამის გამოც ხდება, რომ ოპოზიციური პარტიების მონაცემები თუ ლოზუნგები რეალურ სტატისტიკას არ ეყრდნობა და რომც უნდოდეთ ვერც დაეყრდნობა!

გელა ზედელაშვილი